

# საბჭოთა აზერბაიჯანი 50 წლისაა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 193 (4187)

1970 წ. 1 ოქტომბერი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## „ულდუზის" წარმატება

ბაქოს საწარმო-დაწესებულებების XX სპარტაკიადა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ გამარჯვებული უკვე გამოვლინდა. ესაა ლეიტენანტ შმიდტის სახელობის ქარხნის სპორტკლუბი „ულდუზი".

მანქანათმშენებელმა სპორტსმენებმა ამ მასობრივი ასპარეზობის საპატიო პრიზი ზედიზედ მესამედ დაისაკუთრეს, როცა I ადგილები დაიკავეს ფრენბურთში (ქალები და ვაჟები), მძლეოსნობაში, ძალოსნობასა და ბადმინტონში, II — ხელბურთში (ქალები) და მაგიდის ჩოგბურთში.

ამ ასპარეზობის ყველა ეტაპზე სულ 180 ათასი კაცი გამოვიდა სარბიელზე.

(საბჭოთა აზერბაიჯანის სპორტული ცხოვრებისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-3 გვერდზე).

## როცა გაზეთი იბეჭდებოდა

◆ სოფია, 30 სექტემბერი. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფივბ) კონგრესმა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებით დაამთავრა მუშაობა. ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს პ. ლიბო (საფრანგეთი). გენერალური მდივანიც ფრანგი ა. ოჟარი გახდა. 8 ვიცე-პრეზიდენტს შორის არჩეულია მოსკოველი ვ. სავინი, რომელიც, ამავე დროს, ფედერაციის ადმინისტრაციული საბჭოს წევრადაც შეიყვანეს. აქ დამთავრებულმა კონგრესმა 1973 წელს მსოფლიოს თასის გათამაშება გადაწყვიტა: ვაჟთა გუნდები ჩეხოსლოვაკიაში იასპარეზებენ, ქალთა კოლექტივები კი უნგრეთში. მანამდე გადაწყდა, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი 1974 წელს გაიმართოს მექსიკაში.

## ფინალის იწყება

მოსკოვი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). 2 ოქტომბერს მოსკოვის „ნაუკის", „ოქტიაბრისა" და ცსკა-ს სტადიონებზე სტარტს აიღებს რეგბიში საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელსაც, როგორც ცნობილია, წინ უსწრებდა შესარჩევი შეჯიბრებები ქვეჯგუფებში. სარბიელზე გამოვა ქვეჯგუფებში შერჩეული 8 საუკეთესო გუნდი.

გთავაზობთ გათამაშების კალენდარს:

**2 ოქტომბერი.** გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია — „ლოკომოტივი" (თბილისი), „დინამო" (მოსკოვი) — „ფილი" (მოსკოვი), საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი), „დინამო" (კიევი) — „ავტომობილისტი" (მოსკოვი).

**4 ოქტომბერი.** „ავტომობილისტი" — სამხედრო-საჰაერო აკადემია, „ლოკომოტივი" — „დინამო" (კიევი), საავიაციო ინსტიტუტი — „ფილი", „დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი".

**6 ოქტომბერი.** სამხედრო-საჰაერო აკადემია — „ბურევესტნიკი", „ლოკომოტივი" — საავიაციო ინსტიტუტი, „ავტომობილისტი" — „დინამო" (მოსკოვი), „ფილი" — „დინამო" (კიევი).

**8 ოქტომბერი.** „ფილი" — სამხედრო-საჰაერო აკადემია, „ლოკომოტივი" — „დინამო" (მოსკოვი), „ბურევესტნიკი" — „დინამო" (კიევი), საავიაციო ინსტიტუტი — „ავტომობილისტი".



სახელმწიფო საქმეებით დაკავებული ადამიანისთვის ძნელია სპორტში მეცადინეობა, მაგრამ არიან ისეთი მოღვაწეები, რომლებიც ამ ორ განსხვავებულ სფეროს წარმატებით უფარდებენ ერთმანეთს.

სახელმწიფო მოღვაწე — სპორტის მოყვარული. ერთი მაგალითის მოყვანა საფრანგეთის სინამდვილიდან შეიძლება. ამ ქვეყნის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, 52 წლის შაბან-დელმასი 1965 წლიდან საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულს ფლობს წყვილთა თანრიგში ვეტერან ჩოგბურთელთა შორის. მისი პარტნიორი გ. პელიცა აღტაცებულია პრემიერ-მინისტრის თამაშის კლასითა და ენთუზიაზმით. მართლაც, ძნელია დილით სახელმწიფო საქმეებზე ბორდოში ითათბირო, დღის მეორე ნახევარში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები მიიღო სასტუმრო „მატინიონში" (პრემიერის რეზიდენციაა), შუაღამე კი პარიზში ჩოგბურთის თამაში დაუთმო.

სხვათა შორის, შაბან-დელმასი თავის მუდმივ პარტნიორთან ერთად წლეულსაც საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.

კიდევ ერთი მაგალითი: ფიდელ კასტრო გატაცებულია ბეისბოლის თამაშით და ყოველ თავისუფალ წუთს საყვარელი გართობისთვის იყენებს. კასტრო მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში და საკმაოდ წარმატებითაც.

სურათზე: ჰავანის ერთ-ერთ სტადიონზე შეკრებილი ბეისბოლის გულშემატკივრები ინტერესით ადევნებენ თვალს ფიდელ კასტროს თამაშს.

## ვინ დაისაკუთრებს თასს?

ჭადრაკში სსრ კავშირის თასის პირველმა გათამაშებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამ საქმის თაოსანი, დიდოსტატი დ. ბრონშტეინი ამბობს:

— საოცარია, მაგრამ ჩვენი საჭადრაკო შეჯიბრებების კალენდარი ღარიბია დიდი ტურნირებით. ვეტერანი თუ ახალგაზრდა მოჭადრაკისთვის მხოლოდ სსრ კავშირის ჩემპიონატია სერიოზული შეჯიბრება. ის, ვინც ნახევარფინალიდან მასში ვერ მოხვდება, მთელს წელიწადს ძალაუნებურად „ისვენებს". ამიტომ ყველა დიდი მოწონებით შეხვდა კალენდარში თასის გათამაშების შეტანას. კიდევ ერთი: უძლიერეს მოჭადრაკეს მუდამ ორთაბრძოლა ასახელებდა. დღესაც ასეა (გაიხსენეთ მსოფლიო პირველობის გათამაშება). თასისთვის შეჯიბრებაში მეტოქენი ერთმანეთს პატარ-პატარა, ოთხპარტიიან მატჩებში ხვდებიან. ეს საინტერესოცაა და სასარგებლოც.

აგვისტოში პირველად დაიწყო ბრძოლა სსრ კავშირის თასებისთვის: ვაჟები სასპარეზოდ დნეპროპეტროვსკში ჩავიდნენ, ქალები — კალინინგრადში.

დნეპროპეტროვსკში გამართულ ბრძოლაში 57 ვაჟი ჩაება, მათ შორის 7 დიდოსტატი იყო. ოთხპარტიიან მატჩებში უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა. სარბიელს საბოლოოდ ოთხი მოჭადრაკე შერჩა: დიდოსტატი დ. ბრონშტეინი, საერთაშორისო ოსტატი ვ. სავონი (ხარკოვი), ოსტატები ა. შმიტი (რიგა) და ლ. ალბურტი (ოდესა). გათამაშებას გამოაკლდნენ დიდოსტატები მ. ტალი, ე. გუფელდი, ა. ზაიცევი, ა. ლუტიკოვი, ს. ფურმანი და ა. გიპსლისი.

კალინინგრადში გამართულ პაექრობაში 64 მოჭადრაკე ქალმა მიიღო მონაწილეობა. მართალია, აქ ბევრი საქვეყნოდ ცნობილი მოჭადრაკე არ გამოსულა (მსოფლიო პირველობის მაძიებელთაგან მხოლოდ ტ. ზატულოვსკაიამ ითამაშა. მან პირველი მატჩი მოიგო, მაგრამ ავადმყოფობის გამო შემდგომ ბრძოლას გამოეთიშა), მაგრამ შეხვედრები მაინც უაღრესად საინტერესო იყო.

ყველა ეტაპი წარმატებით განვლეს საერთაშორისო ოსტატებმა მ. რანიკუმ (ტალინი), ნ. მედიანიკოვამ, ოსტატებმა ტ. ლემაჩკომ (ორივე — მოსკოვი) და ნ. გორდონმა (ოდესა).

დღეს მოსკოვში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, თასისთვის ბრძოლას განაახლებენ მოჭადრაკე ქალები (ვაჟთა შეჯიბრება ნოემბერში მოეწყობა). ჯერ გაიმართება ორი ნახევარფინალური მატჩი, შემდეგ — გამარჯვებულთა ფინალური შეხვედრა.

ვინ დაისაკუთრებს თასს? ალბათ ყველაზე დიდი შანსი რანიკუს აქვს. იგი სსრ კავშირის ჩემპიონიც ყოფილა და ბევრი სხვა ტურნირის პრიზიორიც. ესტონელი ოსტატი კარგად თამაშობს მატჩებს (გაიხსენეთ მისი ორთაბრძოლა ზატულოვსკაიასთან საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის სახელისთვის), გამოცდილი და შეუპოვარი მებრძოლია.

რანიკუს კოლეგები ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გაწვრთნილი მოჭადრაკეები არიან. გასულ ზამთარს მედიანიკოვამ მოსკოვის ქალთა I საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, რისთვისაც ფიდე-მ ამას წინათ საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭა. კალინინგრადის ასპარეზობიდან აღსანიშნავია მისი გამარჯვება ოსტატ ა. მუსლიმოვასთან და ნ. ჩიჟობავასთან მატჩებში.

ლემაჩკო მხოლოდ 19 წლისაა. იგი მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტში ჭადრაკის განყოფილებაზე სწავლობს და ეს, რა თქმა უნდა, დიდად უწყობს ხელს მის მზადყოფნას. ლემაჩკო თავდადებული მოთამაშეა. კალინინგრადში იგი თ. ხუგაშვილთან მატჩს აგებდა (0:2), მაგრამ შეძლო ძალთა მობილიზება და ანგარიში გაათანაბრა.

21 წლის პირველთანრიგოსანმა გორდონმა თასისთვის მატჩები მოუგო პირველთანრიგოსან მ. შუმილინას და საერთაშორისო ოსტატ ი. გურფინკელს. მას მწვავე ბრძოლა ჰქონდა თბილისელ ოსტატ ე. კაკაბაძესთან. ძირითადი და დამატებითი მატჩები ყაიმით (2:2, 1:1) დამთავრდა, მაგრამ, წინა შეხვედრებში მოგებათა მეტი რიცხვის გამო, ბრძოლის გაგრძელების უფლება მას მიეცა. მერვედფინალში ოდესელმა მოჭადრაკემ შთამბეჭდავი ანგარიშით (3:1) სძლია საერთაშორისო ოსტატ ა. კისლოვას.

ფ. გიორგაძე.




## ლიდერები და აუტსაიდერები

ბულგარეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ჯგუფებში, როგორც ფრენბურთელ ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებმა მეოთხე ტური განვლეს.

მთავარი ფინალის რამდენიმე მატჩის შედეგი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით მოგვიანებით შევიტყვეთ. აი, ისინიც: **ქალები.** იაპონია—კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 3:1, უნგრეთი — რუმინეთი 3:1, ჩეხოსლოვაკია—ბულგარეთი 1:3, კუბა—რუმინეთი 1:3, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — ჩეხოსლოვაკია 1:3, ბულგარეთი — უნგრეთი 1:3; **ვაჟები.** ჩეხოსლოვაკია—რუმინეთი 3:1, ბულგარეთი — იაპონია 3:2, გდრ — პოლონეთი 3:0, ბულგარეთი — პოლონეთი 3:1, გდრ — ჩეხოსლოვაკია 3:0, რუმინეთი — ბელგია 3:1.

გუშინწინ ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებდნენ, გუშინ კი მოასპარეზენი კვლავ გამოვიდნენ სარბიელზე. 2 ოქტომბერს ჩემპიონატების ბოლო მატჩები გაიმართება.

ახლა კი გადავხედოთ მთავარი ფინალების მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობას:

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 30 სექტემბრისთვის

**ქალები**

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 0 | 4 |
| იაპონია | 3 | 1 | 3 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 3 |
| კსდრ | 2 | 2 | 2 |
| უნგრეთი | 2 | 2 | 2 |
| რუმინეთი | 1 | 3 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 3 | 1 |
| კუბა | 0 | 4 | 0 |

**ვაჟები**

| | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|
| გდრ | 4 | 0 | 4 |
| ბულგარეთი | 4 | 0 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 2 | 2 |
| რუმინეთი | 2 | 2 | 2 |
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 2 |
| იაპონია | 2 | 2 | 2 |
| პოლონეთი | 0 | 4 | 0 |
| ბელგია | 0 | 4 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჩვენი გეგმების თვალსაწიერი

**აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ისკენდეროვის ინტერვიუ**

**● რა ადგილი უჭირავს რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში ფიზიკურ კულტურასა და სპორტს?**

— აზერბაიჯანში დღეს 5 მილიონზე მეტი მცხოვრებია და მათგან ყოველი მეშვიდე სპორტს მისდევს. სხვა სიტყვებით, რესპუბლიკაში 700 ათასი კაცი სისტემატურად მეცადინეობს ფიზკულტურის კოლექტივების სექციებში, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში, ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში, აქტიურად მონაწილეობს შეჯიბრებებში.

მინდა მკითხველებს გავახსენო, რომ 50 წლის წინ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, აზერბაიჯანი მეფის რუსეთის ჩამორჩენილი, განაპირა მხარე იყო, სადაც არა თუ სპორტი, არამედ დაწყებითი განათლებაც კი დიდ ფუფუნებად ითვლებოდა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავს ამ ფუფუნების უფლებას ვერ მისცემდა. დღეს კი ისეთ სიმაღლეებს მივაღწიეთ, რომ ტოლს არ ვუდებთ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ათლეტებსაც კი. იერიში მიგვაქვს მსოფლიო და ევროპულ რეკორდებზე, ვმონაწილეობთ ოლიმპიურ თამაშებში, საერთაშორისო სარბიელზე უდავო ავტორიტეტით ვსარგებლობთ.

**● თუ შეიძლება გვიამბეთ ენთუზიასტებზე — ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზატორებზე.**

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საძირკველს ძირეული კოლექტივები წარმოადგენენ. ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში სწორედ ამ კოლექტივებს ვუთმობთ მთავარ ყურადღებას. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღეს ფიზკულტურის კოლექტივები შექმნილია ყველა ქარხანაში, ყველა ფაბრიკაში, ნავთის სარეწში, მშენებლობაზე, სასწავლებელში, კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში.

მათგან საუკეთესონი არიან ბაქოს რადიოქარხნის სპორტკლუბი „არაზი", აზერბაიჯანის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის კლუბი „ფოლადი", ლეიტენანტ შმიდტის სახელობის ნავთობის მანქანათმშენებელი ქარხნის სპორტკლუბი „ულდუზი", ბაქოს ელექტრომანქანათმშენებელი ქარხნის „ელექტრიკი", ბაქოს სარკინიგზო ტექნიკუმის „სტრელა". ჯალილაბადის რაიონის რ. ახუნდოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის, მასალინის რაიონის ჩაპაევის სახელობის საბჭოთა მეურნეობის, შაუმიანის ხასოფლო რაიონის 28 აპრილის სახელობის კოლმეურნეობის, აზერბაიჯანის ჩ. ილდრიმის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივების სახელი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა.

რასაკვირველია, ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს საზოგადოებრივ აქტივსაც.

დავასახელებ თუნდაც ბაქოს რადიოქარხნის უფროსს, სპორტკლუბ „არაზის" უცვლელ ხელმძღვანელს მ. კასუმოვს. მიუხედავად უკვე ხანდაზმული ასაკისა და დიდი სამსახურებრივი დატვირთვისა, იგი აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის და „ნეფთჩის" ფეხბურთელთა არც ერთ საწვრთნელ მეცადინეობას არ აკლდება, მუდამ მწვრთნელთა და მოთამაშეთა საქმის კურსშია. შემთხვევითი როდია, რომ კასუმოვი რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.

ავიღოთ მეორე მაგალითი. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ახუნზადე მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერია. მისი ნაშრომები გამოდის ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში, ინდოეთში, პაკისტანში, ირანში. იგი ხშირად გამოდის ლექციებითა და მოხსენებებით საერთაშორისო სიმპოზიუმებზე. მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, ცნობილი სწავლული პოულობს საამისო დროს, რომ რესპუბლიკის სასტენდო სროლის ფედერაციას უხელმძღვანელოს.

აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია, მაგალითად, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-მაიორი ხ. მამედოვი. იგი საკავშირო კატეგორიის მსაჯია და წარმატებით ატარებს საპასუხისმგებლო კომპლექსურ შეჯიბრებებს. ომის მეორე ვეტერანი, საბჭოთა კავშირის გმირი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ზ. ბუნიატოვი აზერბაიჯანის ტყვიის სროლის ფედერაციას ხელმძღვანელობს. რესპუბლიკის სპორტულ სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ფედერაციის რჩეული თავმჯდომარეები — გაერთიანება „აზნეფთმაშის" უფროსის მოადგილე ნ. ტასალოვი, ნ. ალიევის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგე, აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტი მ. ჯანი-ზადე, ექიმი გ. ახუნდოვი, მეცნიერ-მუშაკი ს. მირჯავადოვი და სხვები.

**● რომელ სპორტსმენს, მწვრთნელს, მეცნიერ-მუშაკს დასახავდით სხვებისთვის მაგალითად?**

— რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრებს. ასეთი სპორტსმენი ჩვენ ბევრი გვყავს. მათი მომზადებისა და აღზრდისთვის დიდ მადლობას ვუძღვნით სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელებს ა. საფაროვს, შ. შამხალოვს, ს. ნოვიცკის, ი. დადაშევს, ე. ქერიმოვს, ტ. აბასოვს; აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულ მწვრთნელებს ა. ისკენდეროვს, ლ. მილმანს, ე. რამაზანოვს, ლ. კოცევს, ე. სალცინს, ა. ალესკეროვს, ლ. კოკიელოვს, ო. სპირიდონოვს.

მთელი აზერბაიჯანი ამაყობს იმით, რომ ბაქოს „ნეფთჩის" მოთამაშე ორმა ფრენბურთელმა შორეულ მექსიკოში ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ესენი არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. რისკალი და სპორტის ოსტატი ვ. ლანტრატოვა. კლასიკური სტილის მოჭიდავე იუნიორთა შორის მსოფლიოში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ბაქოელმა მოსწავლემ მ. ბაირამოვმა. თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი გახდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი რ. გაჯიევი. მის თანაკურსელს, სპრინტერ ა. კორნელიუკს ეკუთვნის კონტინენტისა და საბჭოთა კავშირის რეკორდები იუნიორთა შორის. ახლა კი იგი მოზრდილთა შორის ჩემპიონიც გახდა. პისტოლეტით მსროლელი ა. სპივაკოვი და ჩოგბურთელი ს. ლიხაჩოვი ევროპის ჩემპიონები არიან. ისინი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიან და ბევრჯერ დიდი სახელიც მოუხვეჭიათ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

როცა აზერბაიჯანის საუკეთესო სპორტსმენებზე და მწვრთნელებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ მეცნიერ-მუშაკები, რომლებიც სპეციალისტ პრაქტიკოსებს უმაღლესი კლასის ათლეტთა მომზადებაში, წვრთნის მეთოდიკის სრულყოფაში, სასწავლო პროცესის კვალიფიციურად წარმართვაში ეხმარებიან. ესენი არიან პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. რზაევი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატები, რ. რაგიმოვი, ქ. რზაევი, ქ. კებერლინსკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ქ. ახუნდოვი, ლ. ბაგრიი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი უ. ზაიდოვა, დოცენტი ვ. ბაბაევი.

**● რა როლს ასრულებენ სპორტული შეჯიბრებები აზერბაიჯანელი ხალხის საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების საქმეში, საერთაშორისო კავშირების გაძლიერებაში?**

— ყოველი შეჯიბრება ხელს უწყობს ათლეტთა მსოფლმხედველობის გაფართოებას, ეხმარება მათ ერთმანეთის უკეთ გაცნობაში, ახალი კავშირების დამყარებაში. მაგალითად, საქართველოს, სომხეთის, მოლდავეთისა და აზერბაიჯანის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი ამ რესპუბლიკების სპორტსმენთა ტრადიციულმა სპარტაკიადებმა, რაც, სამწუხაროდ, ახლა დავიწყებულია. ამ ბოლო დროს ფართო გავრცელება ჰპოვა სამატჩო შეხვედრებმა სპორტის ცალკეულ სახეობებში. ძალიან მოხარული ვართ, რომ ჩვენმა მძლეოსნებმა ჭეშმარიტად მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს ლიტველ კოლეგებთან, მოფარიკავეებმა — უზბეკებთან, ხელბურთელებმა — ლატვიელებთან და ა. შ. სწორედ ეს არის სოციალისტური ხალხების მეგობრობა, რომლისკენაც დიდი ლენინი მოგვიწოდებდა.

ბევრ ამხანაგურ შეხვედრას ვმართავთ უცხოელ სპორტსმენებთან, მაგალითად, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, რუმინეთის, იუგოსლავიის, კუბის, უნგრეთის, გფრ-ის, დანიის, შვეციის, ფინეთის, ეთიოპიისა და სხვა ქვეყნების გუნდებთან.

განსაკუთრებული სარგებლობა მოაქვს სისტემატურ შეჯიბრებებს ირანის, თურქეთის, ერაყის, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის, ავღანეთისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოების სპორტსმენებთან. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნების ხალხთა ჩვეულებები და ტრადიციები ჰგავს აზერბაიჯანის ეროვნულ ადათ-წესებს. ამიტომ ჩვენს ურთიერთსტუმრობას მუდამ განსაკუთრებით მეგობრული სითბო ახლავს.

**● რა ადგილი უჭირავს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს აზერბაიჯანელი ქალის ცხოვრებაში?**

— მინდა გავახსენოთ, რომ 1962 წელს სწორედ აზერბაიჯანში ჩატარდა პირველი საკავშირო თათბირი საბჭოთა ქვეყანაში ქალთა სპორტის განვითარების საკითხებზე. ეს არჩევანი შემთხვევით როდი გაკეთდა. ჩვენი რესპუბლიკის ქალთა სპორტულმა საბჭომ, რომელსაც ფიზკულტურის ინსტიტუტის დეკანი, აზერბაიჯანის სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ზ. რზაევა ხელმძღვანელობს, დიდი მუშაობა ჩაატარა ქალებისა და გოგონების, განსაკუთრებით, ძირითადი ეროვნების წარმომადგენლების ფიზკულტურასა და სპორტში ჩასაბმელად.

სწორედ ქალთა საბჭოს აქტიური მუშაობის წყალობით, რომელსაც რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში აქვს თავისი ფილიალები, შევძელით, რომ ფიზკულტურულ მოძრაობაში 10 ათასი ქალი ჩაგვება.

ახლა ჩვენი ფრენბურთელ და ხელბურთელ ქალთა გუნდები საბჭოთა კავშირის პირველობაში უმაღლეს ლიგაში გამოდიან. აზერბაიჯანში აღიზარდნენ ისეთი გამოჩენილი სპორტსმენები, როგორიც არიან ი. რისკალი და ვ. ლანტრატოვა, შესანიშნავი მსროლელი ნ. შიტიკინა, ნიჭიერი ჩოგბურთელი ე. ბირიუკოვა, აღიარებული მოჭადრაკე ტ. ზატულოვსკაია, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი მოკლე მანძილებზე რბენაში ზ. ალესკეროვა, XIX ოლიმპიური თამაშების მონაწილე, წყალში მხტომელი ნ. კარპუხინა, ტანმოვარჯიშეები ი. დადაშევა და ტ. შჩეტინკინა, მაგიდის ჩოგბურთელები მ. მამედოვა, ტ. პოპოვა-ვასილიევა და ბევრი სხვა.

**● რით ხვდებიან მშობლიური რესპუბლიკის იუბილეს აზერბაიჯანის სპორტსმენები?**

— რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნას დავუკავშირეთ საიუბილეო სპარტაკიადა, რომელიც რამდენიმე ეტაპად ჩატარდა და მონაწილეთა არნახული რაოდენობა მიიზიდა. მარტო ფინალურ სტარტებზე, რომლებიც ბაქოს საუკეთესო სპორტულ ბაზებზე მოეწყო, 10 ათასზე მეტმა კაცმა გვიჩვენა თავისი ოსტატობა.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ თარიღს აზერბაიჯანის ფიზკულტურელებმა მარტო სპარტაკიადა როდი მიუძღვნეს. გეგმაში შევიტანეთ ველორბოლა მეგობრობის თასზე საქართველოსა და სომხეთის სპორტსმენთა მონაწილეობით, რომელიც ამიერკავკასიის გზებზე მოეწყობა; განზრახული გვაქვს ჩავატაროთ შეჯიბრებები სპორტის ყველა სახეობაში აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზებზე, აგრეთვე, ბევრი საერთაშორისო მატჩი.

**● რა დახმარებას გიწევენ აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაციები ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის ბრძოლაში?**

— მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცება, ყოველი ოჯახის ცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამკვიდრება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დგას. 1966 წელს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", რამაც ახალი გეგმები დაგვისახა. მაგალითად, დიდი ყურადღება მივაქციეთ ფიზკულტურის კოლექტივების ავტორიტეტის განმტკიცებას, უმარტივესი სპორტული მოედნების მშენებლობას, განსაკუთრებით სოფლად, წვრთნის მეთოდიკის სრულყოფის საკითხებს.

ორგზის ორდენოსანი საბჭოთა აზერბაიჯანის ფიზკულტურული ორგანიზაცია პირობას დებს, რომ კვლავაც იზრუნებს ახალი წარმატებების მოპოვებისთვის მაღალკვალიფიციური ოსტატების, ჩემპიონებისა და რეკორდსმენთა მომზადების საქმეში.

# ტრადიცი...

40 წლის წინ ბაქოში გაიხსნა ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, რომლის მიზანსაც შეადგენდა ფიზიკური კულტურის კვალიფიციური მასწავლებლებისა და მწვრთნელების მომზადება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთისთვის. მისი პირველი სტუდენტები იყვნენ ბაქოსა და თბილისის, ერევნისა და ბათუმის, კიროვაბადისა და ლენინაკანის საუკეთესო ფიზკულტურელები, პირველი მასწავლებლები — ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში ფიზკულტურის ფუძემდებლები, იმ დროის წამყვანი სპორტსმენები ს. ალიევი, გ. კოპლატაძე, პ. ფარსადანოვი, ე. ლისიაკოვა, ლ. ყარა-მურზა...

გადიოდა წლები. ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა. გაუმჯობესდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაჩნდა მოთხოვნილება სპეციალური განათლების მქონე კადრებზე. ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა სამი დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი: აზერბაიჯანის, საქართველოსი და სომხეთისა. ახლა სამივე ამ ინსტიტუტმა დიდი აღიარება მოიპოვა სსრ კავშირში.

ავიღოთ თუნდაც ჩვენი ინსტიტუტი. სასწავლებლის 17 კათედრაზე მუშაობს 30 მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი, 3 პროფესორი. რომელთაგან ორს უკვე დოქტორის ხარისხი აქვს. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ინსტიტუტის თითქმის ყველა მასწავლე-

# ორგზის ჩემპიონი

თუ არ იცი, ვინ არის, ვერ იტყვი, ამ კაცს ჩემპიონის ორი ტიტული აქვსო. იგი სულ 48 კილოგრამს იწონის, ტანმორჩილია, არც თუ ათლეტური გარეგნობისა, სიტყვაძუნწია მაშინაც კი, როცა საუბარი თვით მას ეხება.

მაგრამ ხალიჩაზე ეს კაცი შეუდარებელია. სპორტის ოსტატმა მ. დადაშევმა, თავის დროზე საუკეთესო ათლეტმა, „თავისუფალი ჭიდაობის პროფესორის" ვ. ბალავაძის ღირსეულმა მეტოქემ, ერთხელ აღიარა, რომ დიდი ხანია არ უნახავს ასეთი შეუპოვარი, აგრესიული მებრძოლი, რომელიც სიძნელეებს და მარცხს არ უფრთხის, არ ერიდება ბრძოლის გამწვავებას, ბოლომდე იბრძვის გამარჯვებისთვის.

მაშ ასე, გაიცანით: რაფიკ გაჯიევი, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი, პრაღის, ქაბულის, ლაიპციგის, მოსკოვის საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებული, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი, მიუნჰენში გამგზავრების კანდიდატი. ეს ყველაფერი ცოტა როდია 22 წლის ჭაბუკისთვის.

— ცოდვა გამხელილი სჯობს, — ამბობს აზერბაიჯანის ს. მ. კიროვის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის დეკანი ჯ. ვაგაბოვი, — ზოგიერთი განებივრებულია კარიერით, შეჯიბრებასა და წვრთნას იმიზეზებს, ლექციებს აცდენს. რაფიკი სულ სხვაა. იგი მარტო მაშინ აცდენს ლექციებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს, როცა ქალაქში არ არის, შინ დაბრუნების შემდეგ კი ცდილობს





სურათზე: ამიერკავკასიის ფეხბურთ... ...ტერანები. მარცხნიდან — ი. პანინი, მ. ... ...ვე (თბილისი), მსაჯი თარჯიმანი ე. ... მ. ბერძენიშვილი (თბილისი), ქ. ფრუ...ნი ...ციის ხელმძღვანელი), ვ. პაცევიჩი (ბაქო)... ბურიძე, ა. დოროხოვი (ორივე — თბილის...

## ...ძეების ერთგული ვარი

...ული თავის დროზე რესპუბლიკის წამ-...ვანი ათლეტი იყო, ბაქოს ნაკრები ...უნდების შემადგენლობაში ითვლებო-...ა, საკავშირო შეჯიბრებებში გამოდი-...და.

...შემძლო დამესახელებინა, მაგალი-...ად, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქ-...ტორი, პროფესორი ა. რზაევი, ბიოლო-...ურ მეცნიერებათა კანდიდატი უ. ...იდოვა, დოცენტები — საერთაშო-...სო კატეგორიის მსაჯები ტ. ბახრა-...ევი და ჯ. ყურბანოვი, სსრ კავშირის ...ამსახურებული მწვრთნელი ტ. აბა-...ევი, სპორტის ოსტატები მ. მამედო-...ა, რ. იონესიანი, ვ. მუხინი, ს. ალე-...ქეროვა და სხვ. ყველა მათგანი კვა-...იფიციური სპეციალისტია, მრავა-...ი სამეცნიერო და მეთოდური შრო-...ს ავტორი, გულისხმიერი და ჭკვი-...ი პედაგოგი.

...სახელოვანი ტრადიციების სულისკვე-...ებით ვზრდით ჩვენს სტუდენტებსაც. ...თ შორის, ვინც ახლა სწავლობს ...ზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტი-...უტში, არის ბევრი სსრ კავშირისა ...ა აზერბაიჯანის ჩემპიონი და რეკორდ-...ენი, სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკ-...ები გუნდების კანდიდატი. დავასახე-...ებთ, მაგალითად, მძლეოსნები ა. კო-...ელიუკი და ნ. ბრინცევა, მოჭიდა-...ები რ. გაჯიევი და გ. ქუსეინო-...ი, ჩოგბურთელი ე. ბირიუკოვა, ხელ-...ურთელი ვ. შარიფოვი, ფეხბურთე-...ები ს. კრამარენკო და რ. ყული-...ი. ამ სიის გაგრძელება, რა თქმა ...ნდა, კიდევ შეიძლებოდა...

ინსტიტუტს ყოველწლიურად სულ უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. ამიტომ, რასაკვირველია, საჭირო გახდა სასწავლო პირობების გაუმჯობესება, სპორტული ბაზის გაფართოება. ამ საქმეში მხარი დაგვიჭირეს და მალე ახალ ბინაში გადავალთ.

ვ. ი. ლენინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონის მახლობლად აიგო ინსტიტუტის ახალი, ნათელი და მყუდრო კორპუსები. გვაქვს კეთილმოწყობილი, თანამედროვე ლაბორატორიები, სპორტდარბაზები, სასწავლო კლასები, სათამაშო მოედნები, ფეხბურთის მინდორი, მძლეოსნური სექტორები. მალე მზად იქნება მეორე აუზი წყლის გათბობით.

თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ამიერკავკასიის ფიზკულტურის ინსტიტუტი კადრების ნამდვილი სამჭედლო იყო. მან საბჭოთა სპორტის ბევრი აღიარებული ოსტატი, ფიზკულტურული მუშაობის ბევრი შესანიშნავი ორგანიზატორი აღზარდა. თამამად ვიტყვი, რომ აზერბაიჯანის ინსტიტუტი მისი ღირსეული მემკვიდრეა.

**ე. ბაბაევი,**

დოცენტი, აზერბაიჯანის ს. მ. კიროვის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი.



...ადგინოს გაცდენილი, თანაკურსე-...ებს არ ჩამორჩეს. ასეთი სტუდენტით ...ართლაც იამაყებს კაცი.

...აი, რას ამბობს აზერბაიჯანის დამ-...სახურებული მწვრთნელი, რაფიკის ხე-...ლმძღვანელი ე. რამაზანოვი:

— რაფიკი უაღრესად ყურადღებია-...ნი წვრთნის დროს და ძალიან შრო-...მისმოყვარეა. ქანცის გაწყვეტამდე მუ-...შაობს, თითქოს ჩემპიონი კი არა, ახა-...ლბედა იყოს. მერწმუნეთ, რაფიკს დი-...დი მომავალი აქვს.

...მჯერა. ამის საწინდარია გაჯიევის ...ულმოდგინება და შრომისმოყვარეობა.

**მ. ბაბაევი,**

სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი.

• • •

სურათზე: რ. გაჯიევი.

## ჩვენი ძვირფასი „მოხუცები“

გულახდილად გეტყვით: დიდი ხანია ჩვენი „ხუთწუთიანი თათბირი“ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. იყო დავა და კამათი. როგორც ჩანს, ყველას გვამოძრავებდა ერთი სურვილი: სადღესასწაულო ნომრები რაც შეიძლება საინტერესო და მიმზიდველი გამოსულიყო.

აქვე გადაწყდა ჩვენს ტრადიციულ მრგვალ მაგიდასთან მოგვეწვია ვეტერანები, ისინი, ვინც ჩამოაყალიბა პირველი სპორტული წრეები და კლუბები, ვინც პირველმა შეუტია სარეკორდო სიმაღლეებს და ჩემპიონობისთვის ბრძოლა დაიწყო; ერთი სიტყვით, ვინც აზერბაიჯანის ფიზკულტურული მოძრაობის სათავეებთან იდგა.

... ჩვენ უხუცეს მოჭიდავეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს რ. ბახშალიევს ველარ ვცნობთ. ახლა იგი არ ხუმრობს, როგორც სხვა დროს, სიტყვაძუნწია, დაფიქრებული ჩანს. სპორტის ვეტერანი იგონებს თავისი ახალგაზრდობის წლებს, იმ სირთულეებს, რომლებიც ახალგაზრდა აზერბაიჯანის რესპუბლიკას ფიზკულტურის განვითარებისთვის ბრძოლაში ხვდებოდა; იგონებს, ამ სიძნელეების მიუხედავად, როგორ უწევდნენ აგიტაციას ახალგაზრდებს შორის ჭიდაობასა და ძალოსნობას, ფეხბურთსა და სროლას, კრივსა და ცურვას.

— ეს დღეს ხდება, რომ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ემსახურება ათობით სტადიონი, შესანიშნავი ინვენტარი, ემსახურებიან მასწავლებლები, მწვრთნელები. მაშინ კი ყველაფერს თავად ჩვენ ვაკეთებდით, თუმცა ბედს მაინც არ ვუჩიოდით. საბრძოლველად მუდამ მზად ვიყავით, — ასეთი სიტყვებით ამთავრებს ბახშალიევი თავის გამოსვლას.

სიტყვა ეძლევა ერთ-ერთ ჩვენს უხუცეს ფეხბურთელს, ბაქოს გუნდის ერთ დროს სახელგანთქმულ მოთამაშეს პ. რეიხს, რომელიც ჯერ კიდევ 30-ანი წლების დამლევს იყო ცნობილი, როგორც ფავორიტების რისხვა. იგი გვიამბობს აზერბაიჯანის სპორტსმენთა პირველ საერთაშორისო შეხვედრებზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეგობრობის ხიდებს სწორედ ფეხბურთელებმა ჩაუყარეს საძირკველი.

— დღევანდელი „ნევთჩი“ სწორედ ჩემი თაობის გუნდების ტრადიციებზე იზრდებოდა, — სიამაყით ამბობს რეიხი. — როცა მის წარმატებებს ვხედავ, გულით მიხარია.

ახლა კი გაგაცნობთ ლენინური კომკავშირის სახელობის სტადიონის დირექტორს ა. მარქაროვს. იგი 1928 წლის I საკავშირო სპარტაკიადის მონაწილეა, ბევრჯერ დაუკავებია საპრიზო ადგილები მოცურავეთა, მძლეოსანთა შეჯიბრებებში; იყო აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის ნაკრები გუნდების მწვრთნელი. ახლა მარქაროვი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწეა. მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის ერთ-ერთი აღიარებული ორგანიზატორი.

გასაგებია, რომ მრგვალ მაგიდასთან მარქაროვი ლაპარაკობს ბაქოს პირველ მუშათა სპორტულ წრეებზე, გვიამბობს, იმ შორეულ 30-ან წლებში როგორ იზრდებოდნენ ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში მაღალი კვალიფიკაციის ათლეტები, რომლებიც საპასუხისმგებლო საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდნენ. იგი მწვრთნელებს, ფიზკულტურის ყველა სპეციალისტს მოუწოდებს იმუშაონ ძომავალ სპორტსმენებთან მიზანდასახულად, გრძნობით, ნაყოფიერად.

ლაპარაკობენ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწეები ს. კასუმოვა, ზ. რზაევა და სპორტის ოსტატი მ. მამედოვა. ისინი მღელვარებით გვიამბობენ აზერბაიჯანში ქალთა სპორტის განვითარების გზებზე, ჩვენი ხალხის სახელოვან ქალიშვილებზე, რომელთაც მრავალგზის მოუპოვებიათ გამარჯვებები სტადიონებზე, აუზებში, სასროლეთებზე. რედაქციაში კვლავ და კვლავ გაისმის შესანიშნავი მძლეოსნის, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენ ზ. ალესკეროვას, ტანმოვარჯიშე ზ. გაჯიევას, მსროლელ ა. ეფენდიევას, ფრენბურთელ ა. ალიევას, კალათბურთელების ჩ. ჯაფაროვას და ს. მაჟიდოვას, მოჭადრაკე ნ. მირზაზადეს სახელები.

— ყველა ჩვენი წარმატება, ყველა გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ კომუნისტური პარტიის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დიდი ზრუნვის შედეგად, — ამბობენ რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე მ. საადათხანი და სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. არუნოვი. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან ფიზიკურ კულტურასა და სპორტს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ბუნებრივია, ამანაც განაპირობა, რომ დღეს ჩვენი ორგზის ორდენოსანი რესპუბლიკის ათლეტები დამაჯერებლად გამოდიან საკავშირო ტურნირებში, საერთაშორისო სარბიელზე, მსოფლიო, ევროპულ და ოლიმპიურ შეჯიბრებებში.

... გვიან საღამომდე ენთო სინათლე რედაქციაში. ჩვენმა ძვირფასმა „მოხუცებმა“ თითქოს ათეული წლების ტვირთი მოიშორეს მხრებიდან, დაივიწყეს ყველა სხვა საქმე, ახალგაზრდულად, მხიარულად გვიამბობდნენ, გვიამბობდნენ...

**ა. ძიაზიმზადე,**

გაზეთ „სპორტის“ რედაქტორის მოადგილე

## ერთი სახელოვანი ფეხბურთელი

ორი წლის შემდეგ აზერბაიჯანის ფეხბურთი 60 წლის იუბილეს იზეიმებს. მას დიდი, სახელოვანი ისტორია აქვს, რომლის დასაწყისიც დაკავშირებულია პირველ, 10-ან წლებში ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ გუნდთან „უნიტასთან“. შემდეგ ესტაფეტა ხელიდან ხელში გადადიოდა: იყო „პროგრესი“, „დინამო“, „ტემპი“, შემდეგ „ნეფტიანიკი“ — ახლანდელი „ნევთჩი“.

ჩვენმა ფეხბურთმა, როგორც იტყვიან, სწრაფად გაშალა ფრთები და უკვე 20-ანი წლების მეორე ნახევარში ბაქოს „პროგრესს“ კავკასიაში ბადალი არ ჰყავდა. 1926 წელს პირველად შეიქმნა ამიერკავკასიის ნაკრები, რომელიც საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად სკანდინავიაში უნდა გამგზავრებულიყო. ვაკანსიების ნახევარი ბაქოელებს ხვდათ. სხვათა შორის, მაშინ კოლექტივის შემადგენლობა ასეთი იყო: კარს იცავდა პაპკოვი (თბილისი), დაცვაში თამაშობდნენ კოსენკოვი (ბაქო) და ფრუიძე (თბილისი), ნახევარდაცვაში — მდივანი (თბილისი), ივანოვი (ბაქო), პანდელოვი (ბათუმი), თავდასხმაში — სოროკინი, მაკაგონოვი, თურქია (სამივე — ბაქო) და სხვ.

ამიერკავკასიის ნაკრები ათ წელიწადს არსებობდა. მისი ბოლო გამოსვლები როგორც სსრ კავშირის, ისე უცხოეთის სტადიონებზე, 1935 წელს მიეკუთვნება.

... დროის მანძილზე სიყვითლედადებულ ამ ფოტოსურათს 35 წლის ისტორია მაინც აქვს. მასზე აღბეჭდილია ამიერკავკასიის 1935 წლის ნაკრები. სურათმა დამაინტერესა და მინდა მკითხველს ვუამბო არა მარტო მისი შექმნის ისტორიაზე, არამედ მათზეც, ვინც მაშინ გუნდის მთავარ ძალღვს შეადგენდა. ამ ფეხბურთელებიდან ბევრი დღესაც ცოცხალია და მხნედ გრძნობს თავს.

მე დახმარება ვთხოვე ამიერკავკასიის ნაკრების ერთ-ერთ წევრს, „ნევთჩის“ ფეხბურთელთა სასწავლო-საწვრთნელი ბაზის უფროსს, 62 წლის პ. რეიხს.

— 1935 წლის საკავშირო შეჯიბრების შედეგების მიხედვით შედგა ამიერკავკასიის ნაკრები, რომელსაც საბჭოთა ფეხბურთის ღირსება უნდა დაეცვა ანტიფაშისტურ შეკრებაზე შვეციის ქალაქ გეტებორგში, — თქვა რეიხმა. — მაშინ ტურნირში მონაწილეობდნენ დანიის, საფრანგეთის, ნორვეგიის, შვეციისა და ფინეთის მუშათა გუნდები.

მაგრამ უეცრად ჩვენი საზღვარგარეთ გამგზავრება ეჭვქვეშ დადგა. მახსოვს, ძალიან მოკლე დროში მოვიყარეთ თავი და მოსკოვს გავემგზავრეთ. იქ ერთადერთი ერთობლივი საწვრთნელი მატჩი გავმართეთ დედაქალაქის ნაკრებთან და დიდი ანგარიშით (1:5) წავაგეთ. გვთხოვეს, დამხმარე ძალა მიიღეთო, მაგრამ ჩვენ ცივი უარი ვთქვით.

... პირველი მატჩი შვეციაში ადგილობრივ პროფესიონალთა კლუბთან „გარდასთან“ გავმართეთ. თამაში ფრედ დამთავრდა — 3:3. მეორე შეხვედრა ნორვეგიის მუშათა გუნდთან გვქონდა. ძალიან კარგად ვითამაშეთ და 8 „მშრალი“ ბურთი გავიტანეთ. დამაჯერებელი გამარჯვება (6:1) მოვიპოვეთ მესამე მატჩში დანიის ფეხბურთელებთანაც. ოთხჯერ გვაიძულეთ ცენტრიდან თამაშის დაწყება ფრანგებსაც.

ჩვენმა თამაშმა სკანდინავიელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მათ შემოგვთავაზეს ოპერატიული „მოგზაურობა“ თავიანთ ქვეყანაში.

დავიწყეთ ნორვეგიით, სადაც ორი მატჩი ჩავატარეთ. ოსლოში შევხვდით ამ ქვეყნის მუშათა ნაკრებ გუნდს (2:1), ხოლო ლილიენსტრემში ადგილობრივ ფეხბურთელებს (1:1).

შემდეგ დანიაში გავემგზავრეთ, სადაც ერთადერთი მატჩი გავმართეთ ქვეყნის ნაკრებთან და მოვიგეთ — 1:0.

ჩვენი ტურნე ფინეთში მთავრდებოდა, მაგრამ იქ ფაქტიურად ვერც ერთი მატჩი ვერ ვითამაშეთ. უფრო ზუსტად, ქვეყნის ნაკრებთან შეხვედრას ვიგებდით ანგარიშით 2:0, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე კოკისპირული წვიმა წამოვიდა და იძულებული გავხდით მინდორი დაგვეტოვებინა.

ამ მოგზაურობაში ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობისა იყო: მეკარე დოროხოვი, დაცვა — შავგულიძე და რეიხი, ნახევარდაცვა — ანიკინი, პეტროსიანი, პაცევიჩი, თავდასხმა — პანინი, ბერძენიშვილი, მარქაროვი, ამირჯანოვი და სხვ. ჩვენს წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს მაკაგონოვმა და ჭუმბურიძემ, რომლებიც დაშავებულ მოთამაშეებს ცვლიდნენ.

აი, ასეთია ისტორია 1935 წელს კოპენჰაგენის სადგურის ბაქანზე გადაღებული ფოტოსურათისა, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ.

**ფ. კოგანოვი,**

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



...ჩრანოვი, პ. რეიხი (როვე — ბაქო), ა. კოლესოვი (დედაქალაქის ხელმძღვანელის მოადგილე), მ. ბოლოტინი (თბილისი), ს. პეტროსიანი, ა. მარქაროვი, ვ. მაკაგონოვი (ცვალა — ბაქო), შ. შავგულიძე (თბილისი).



## ინა და ვერა

ვფიქრობ, მკითხველი უკვე ხვდება, ვის ეძღვნება ეს წერილი. დიახ, ლაპარაკია ცნობილ საბჭოთა ფრენბურთელ ქალებზე: სპორტის დამსახურებულ ოსტატ ინა რისკალზე და სპორტის ოსტატ ვერა ლანტრატოვაზე.

ორივე ფრენბურთელი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. შამხალოვის აღზრდილია, ორივე ბავშვობიდანვე მეცადინეობს მასთან, ორივემ შამხალოვის ხელმძღვანელობით მიაღწია უდიდეს წარმატებას — გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

ინა და ვერა ბაქოს „ნევთჩის“ საუკეთესო ფრენბურთელები არიან. ამასთან, ისინი უზადოდ თამაშობენ არა მარტო თავდასხმაში, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ ხოლმე, არამედ დაცვაშიც. ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს მატჩი, რომ რისკალსა და ლანტრატოვას უკანა ხაზზე „შავი სამუშაო“ მოსწყენოდეთ, მარტო თავის დარტყმებზე ეფიქროთ.

დარტყმა კი მართლაც იციან. ინა, მაგალითად, ისეთი ძალით ურტყამს, რომ ზოგჯერ სამმაგი ბლოკიც ვერ უძლებს. ვერაც მამაკაცური სიძლიერით თამაშობს. ყოველივე ეს ვერაგ, ცრუ დარტყმებთან ერთად ამ ორ მეგობარს გუნდის შეუცვლელ ძალად აქცევს.

სწორედ ამან განსაზღვრა ინასა და ვერას სპორტული ბედი. სსრ კავშირის ნაკრებში ისინი უკვე დიდი ხანია „აბორიგენებად“ იქცნენ.

აღსანიშნავია, რომ ინა რისკალი თითქმის ყველა ტურნირში საბჭოთა გუნდის საუკეთესო მოთამაშედაა აღიარებული. ვერა, თუმცა სათადარიგოთა სკამზე ზის, № 1 სათადარიგოდ ითვლება და ხშირად გარდატეხას ახდენს მოედანზე გამოსვლით.

მე ხშირად მისაუბრია მსაჯებთან, მაგრამ არასდროს არც ერთი მათგანისგან არ გამიგონია საყვედური ინასა და ვერას მისამართით. მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ საყოველთაო აღიარებამ თავბრუ ვერ დაახვია მათ. ინა და ვერა დღესაც ისევე საყვარელი, მოკრძალებული ქალიშვილები არიან, როგორიც ამ ათი წლის წინ — პირველად რომ მიაკითხეს ფრენბურთის სექციას.

**რ. იუსუფოვი,**

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათზე: ი. რისკალი (მარჯვნივ) და ვ. ლანტრატოვა ვარჯიშის დროს.

ა. აბდულაევის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

# გოლი არ გაცვიდა

I ჯგუფი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 29 სექტემბერი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — ასკ (კიევი) 0:0.

„ლოკომოტივი“: ბერიძე, ფრიდმანი, პანოვი, ქელეხიძე, ფიფია, ძაგანია, ჯორბენაძე, ყიფიანი, შხვაცაბაია, ბახტაძე, შელიძე.

ასკ: ბაბენკო, კოზინეცი, არტიუხი, სტრელცოვი, ხროპოვი, სიზოვი, შტულერი, ბოგოდელოვი, კოვუშკო, ჩურალიკი (ბოჩაროვი), ვერემეევი.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

თბილისის „ლოკომოტივმა“ წლევანდელი გათამაშების კარგი სტარტისას პირველი დიდი უსიამოვნება სწორედ კიევში იწვნია ადგილობრივი არმიელებისგან (1:4).

შემდგომში, სეზონის შუაგულში, „ლოკომოტივმა“ ძალიან უკლო თამაშს და იქამდე მიიყვანა საქმე, რომ გათამაშების ცხრილში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ამოყო თავი. მაგრამ ამ კრიტიკულ სიტუაციაში გუნდმა ირწმუნა თავისი ძალები, მკვეთრად გამოასწორა თამაში და სატურნირო ცხრილის შუაგულს მიაღწია. ახლა, როცა საქმე ასე შეტრიალდა, მაყურებლები მოელოდნენ ახალ გამარჯვებას კიევის არმიელებთან, მით უმეტეს, რომ საჭირო იყო რევანშის აღება.

რევანში არ შედგა, მაგრამ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებთან სასაყვედურო არაფერი გვაქვს. ისინი თამაშობდნენ მობილიზებულად, სრული მონდომებით. ჯერ კიდევ შესვენებამდე არმიელთა კართან რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შეიქმნა. თბილისელები ხშირად უტევდნენ, იერიშებში ერთვოდნენ ფრიდმანი, ძაგანია, ჯორბენაძე, წინა ხაზზე აქტიურობდა ყიფიანი, მაგრამ გოლის გატანა არ მოხერხდა. საუცხოოდ ითამაშა კიეველთა მეკარე ბაბენკომ, ხოლო მცველები არნახულ თავგანწირვას იჩენდნენ მოპირდაპირე შემტევ ძალებთან ბრძოლისას.

კიდევ უფრო აშკარა იყო რკინიგზელთა უპირატესობა მეორე ტაიმში. სტუმართა კართან უამრავი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ 90 წუთი გავიდა ისე, რომ გოლი არ გავიდა.

რ. ქორიძე.

უმაღლესი ჯგუფი

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

ფეხბურთი კოლექტიური თამაშია და ამიტომ მედლები, თასები თუ პრიზები, რომლებსაც ესა თუ ის გუნდი მოიპოვებს, ყოველ მის მოთამაშეს ეკუთვნის. უმაღლეს ჯგუფში მოასპარეზე გუნდების ფეხბურთელთათვის დაწესებულია მხოლოდ 2 ინდივიდუალური პრიზი: საუკეთესო მეკარეს (ჟურნალ „ოგონიოკისა“) და საუკეთესო ბომბარდირს (გაზეთ „ტრუდისა“).

მეკარის ხიძლიერის გამოსავლენად ყურადღება ექცევა 90 წუთში საშუალოდ გაშვებული გოლების რაოდენობას. ამ მაჩვენებლით მეკარეები ახლა შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდებიან:

1. იაშინი — 0,48 (13 თამაშში გაუშვა 6 გოლი), 2. კრამარენკო — 0,59 (22—13), 3. სკოკოვი — 0,61 (18—11), 4. კავაზაშვილი — 0,67 (21—14), 5. შმუცი — 0,67 (14—8), 6. დემირჩიანი — 0,68 (12—7), 7. ტკაჩენკო — 0,72 (24—17), 8. პილგუი — 0,87 (14—11), 9. ურუშაძე — 0,88 (14—11), 10. პროხოროვი — 0,90 (14—13), 11. ბანიკოვი — 0,91 (23—21), 12. კუდასოვი — 0,91 (24—22). დანარჩენი მეკარეების „გამტარიანობის“ კოეფიციენტი ერთს აღემატება, ზოგიერთს კი ჩატარებული მატჩების 50 პროცენტი არა აქვს ნათამაშევი.

პირველობისთვის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს ბომბარდირებს შორისაც. საშუალოდ ერთ მატჩში გატანილი გოლების რაოდენობის მიხედვით ისინი ასე განლაგდებიან: 1. გ. ნოდია — 0,63 (19 თამაშში გაიტანა 12 გოლი), 2. კოზლოვი — 0,60 (23—14), 3. ფედოტოვი — 0,55 (20—11), 4. პროსკურინი — 0,47 (21—10), 5. პორკუიანი — 0,42 (19—8), 6. ავრუცკი — 0,42 (19—8), 7. პუსაინოვი — 0,40 (25—10), 8. უნანოვი — 0,38 (21—8), 9. კოპეიკინი — 0,37 (24—9), 10. ვასილიევი — 0,34 (23—8).

პენალტით 3-3 გოლი აქვთ გატანილი კოზლოვსა და უნანოვს, თითო — გ. ნოდიას, ფედოტოვსა და პროსკურინს.

გ. მადუაშვილი.

## საქართველოს ჩემპიონატი

● „იმერეთი“ (თერჯოლა) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

● „სინათლე“ (თბილისი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 2:2. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

თბილისელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან და მე-14 წუთზე სუხაშვილმა ანგარიში გახსნა. გარდაბნელები მალე შეეგუენ შექმნილ მდგომარეობას, გააძლიერეს კონტრიერიშები, რაც სარიევის საპასუხო გოლით დამთავრდა. შესვენების შემდეგ მეტოქეებმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 0:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „მალაროელი“ (ჭიათურა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:4. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, თუმცა სტუდენტები ყველა რგოლში სჯობდნენ მასპინძლებს. ეს უპირატესობა „მატერიალურად“ გამოიხატა შესვენების შემდეგ, როცა მელიქიძემ ჭიათურელთა კარში ზედიზედ 3 ბურთი გაიტანა. „მაღაროელმა“ შეძლო 1 გოლის გაქვითვა (პენზინი), მაგრამ ბერდნიკოვმა კვლავ აღადგინა ადრინდელი სხვაობა.

● „ენგური“ (ზუგდიდი) — ასკ (თბილისი) 2:2. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ოთხივე გოლი შესვენების შემდეგ იქნა გატანილი. ჯერ დაწინაურდნენ ზუგდიდელები (სიჭინავა, მესხი), მერე კი „ენგურმა“ რატომღაც მოუკლო ტემპს, რითაც არმიელებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს — ზუბოვმა და ოდიკაძემ ორივე გოლი გაქვითეს.

● „ისანი“ (თბილისი) — „ფერიქარი“ (წულუკიძე) 1:1. მსაჯი ა. ცაგარეიშვილი (თბილისი).

● „მზიური“ (გალი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

წუთიც არ იყო გასული თამაშის დაწყებიდან, როცა სტუმრების თავდამსხმელმა დოლიძემ ანგარიში გახსნა. ასეთი დასაწყისის მიუხედავად, „მზიურმა“ ორგანიზებულად, გეგმიანად წარმართა თამაში: ჯერ გაქვითა გოლი, მერე კი გაიმარჯვა კიდეც.

● „მესხეთი“ (ახალციხე) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:3. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

### II ჯგუფი

I ზონა

„სპარტაკი“ (რუსთავი) — „მშენებელი“ (წალკა) 2:0, „მევენახე“ (ვაზისუბანი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 4:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 0:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „აბული“ (ახალქალაქი) 7:0, „მევენახე“ (ბოლნისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 3:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „არაგვი“ (მცხეთა) 4:1.

II ზონა

„მექანიკოსი“ (სამტრედია) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 0:2, „სამეგრელო“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2, „ჭოროხი“ (ბათუმი) — „ივერია“ (ხაშური) 1:1, „განთიადი“ (აბაშა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1.

## გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 30 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 34 | 22 | 8 | 4 | 69—39 | 52 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 34 | 20 | 7 | 7 | 74—33 | 47 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 33 | 18 | 10 | 5 | 63—30 | 46 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 33 | 15 | 12 | 6 | 57—30 | 42 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 33 | 16 | 10 | 7 | 49—29 | 42 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 33 | 15 | 10 | 8 | 56—36 | 40 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 29 | 16 | 7 | 6 | 49—27 | 39 |
| „ისანი“ (თბილისი) | 34 | 12 | 15 | 7 | 39—31 | 39 |
| „სამცხე“ (აწყური) | 34 | 12 | 14 | 8 | 34—32 | 38 |
| „მზიური“ (გალი) | 33 | 10 | 16 | 7 | 39—35 | 36 |
| „ფერიქარი“ (წულუკიძე) | 35 | 13 | 9 | 13 | 46—57 | 35 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 35 | 11 | 12 | 12 | 50—52 | 34 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 35 | 10 | 13 | 12 | 35—38 | 33 |
| ასკ (თბილისი) | 33 | 12 | 7 | 14 | 39—44 | 31 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 33 | 8 | 14 | 11 | 34—47 | 30 |
| „ცისკარი“ (სიღნაღი) | 35 | 8 | 13 | 14 | 24—37 | 29 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 33 | 8 | 11 | 14 | 35—36 | 27 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 34 | 6 | 13 | 15 | 25—43 | 25 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 35 | 5 | 14 | 16 | 38—66 | 24 |
| „მალაროელი“ (ჭიათურა) | 34 | 4 | 10 | 20 | 38—73 | 18 |
| „მშენებელი“ (ბორჯომი) | 33 | 5 | 7 | 21 | 31—61 | 17 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 35 | 4 | 8 | 23 | 37—85 | 16 |

## მუხლამდე წყალში

II ჯგუფი

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 29 სექტემბერი.

„დინამო“ (ბათუმი) — „სატურნი“ (რიბინსკი) 1:1 (0:1).

„დინამო“: პავლოვი, ჩხაიძე, წივწივაძე, სირბილაძე, გაგუა, ილურიძე, ქორიძე, ვაჟა კვიტაიშვილი, ჩხარტიშვილი, ესებუა, ვახტანგ კვიტაიშვილი (მაჩხელიანი).

„სატურნი“: კარპუშინი, მეშკოვი, სოკოლოვი, მანინი, რადინი, დვორცოვი, ცეილინი, კოსტიაკოვი, კორპენკო, ხოლოვეი, მალიშევი.

მსაჯი კ. შერემიანი (მოსკოვი).

ასეთ კოკისპირულ წვიმაში თამაში ბათუმელ ფეხბურთის მოყვარულებს დიდი ხანია არ ახსოვთ. მინდორი ერთიანად წყლის გუბეებს მოეფინა და კუთხური სექტორების აღმნიშვნელი ალმები სანახევროდ წყალში იყო ჩაძირული.

ასეთი არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში. მათი სატურნირო მდგომარეობა ვერაა სახარბიელო, რაც გუნდის წინაშე საგანგებო ამოცანებს სახავს.

და სწორედ მაშინ, როცა მასპინძლები შეტევაზე იყვნენ, ერთ-ერთ მომენტში ბურთი კოსტიაკოვს ჩაუვარდა, მან გადასცა სოლოვეის და... „დინამომ“ ცენტრიდან დაიწყო თამაში.

ამ გოლის გაქვითვას ბათუმელები დიდხანს მოუნდნენ. 52-ე წუთზე „სატურნის“ მცველებმა უხეშად მოცელეს ვაჟა კვიტაიშვილი. მან კარგად მოაწოდა საჯარიმო მოპირდაპირე კარის წინ და ჩხარტიშვილმა ლამაზი თავური დარტყმით საპასუხო გოლი გაიტანა.

დარჩენილ დროში მასპინძლებს დაწინაურების ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ „სატურნის“ დაცვამ შეძლო ყველა ხიფათის მოგერიება.

ო. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## „დილამ“ მხოლოდ ქულა აიღო

გორი. ქალაქის სტადიონი. 29 სექტემბერი.

„დილა“ (გორი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:0.

„დილა“: ჩლაიძე, კოზინი, კობიაშვილი, გლავადსკი, ამბრიაშვილი, მარლიშვილი, ჭეიშვილი, ეზუხბაია, კაპანაძე, ბურჯანაძე, ქორიძე.

„შინიკი“: ბორისოვი, რახმეტჩაევი, სმირნოვი, კარასიოვი, სომოვი, კალკოვი (ფროლოვი), სალინი, ნიკოლაევი (კოზლოვი), სტენიშევი, რეინგოლდი (კოროტკოვი), კლეშჩევი.

მსაჯი ნ. ვასილიევი (დონის როსტოვი).

გორელ ფეხბურთელებს კარგად ჰქონდათ საქმე სტუმრად მორიგი მატჩების ჩატარების წინ, მაგრამ ისევე როგორც ადრე, ეს შეხვედრები „დილამ“ ცუდად ჩაატარა და ბელგოროდში აღებულ მხოლოდ 1 ქულას დასჯერდა. ამრიგად, კვლავ საჭირო შეიქნა დანაკარგის ანაზღაურება საკუთარ მინდორზე. პირველი ასეთი „ასანაზღაურებელი“ თამაში გორელებს ჰქონდათ „ა“ კლასის II ჯგუფის II ზონის ერთპიროვნულ ლიდერთან — „შინიკთან“.

მასპინძლები რამდენიმეჯერ იყვნენ ახლოს ამ ამოცანის შესრულებასთან. მათ მაღალ ტემპში დაიწყეს შეხვედრა და ბორისოვს ზედიზედ მოუხდა ძნელი ბურთების აღება. 25-ე წუთზე „შინიკი“ იღბლად გადაურჩა აშკარა გოლს: ეზუხბაია გარღვევაზე გავიდა და საჯარიმო მოედნის შუაში ზუსტად გადააწოდა კაპანაძეს. უკეთესი მდგომარეობა კარის ასაღებად ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ კაპანაძემ იჩქარა, ბურთი ვერ დაიმორჩილა და ანგარიშის გახსნის ნაღდი შანსი დაკარგა.

სტუმრებმა ჯერ გაათანაბრეს თამაში, მერე შეტევაზეც გადავიდნენ — ჩლაიძეც აიძულეს ჩაბმულიყო თამაშში. მაგრამ ტაიმის მიწურულს უპირატესობა ისევ „დილას“ ჰქონდა. კოზინმა ძელს მოახვედრა ბურთი.

კიდევ უფრო ახლოს იყო მიზანთან „დილა“ შესვენების შემდეგ. ვინ მოთვლის, რამდენი კრიტიკული მომენტი შეიქმნა „შინიკის“ კართან, რამდენჯერ შეეძლოთ გორელთა თავდამსხმელებს გოლის გატანა, მაგრამ ისინი მეტისმეტად არაორგანიზებულად, შეჯგუფულად მოქმედებდნენ შეტევის დასასრულს და, რაც მთავარია, ერთობ უზუსტოდ ურტყამდნენ კარში.

გ. გოზალიშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## ფინალი — ჩერნოვცში

60 ათასი გუნდი შეუდგა ადრიან გაზაფხულზე ფიზკულტურის კოლექტივების საკავშირო თასის გათამაშებას. მათგან ახლა ბრძოლას შემორჩა მხოლოდ 4 (ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა — ცხაკაიას „ეგრისმა“ მეოთხედფინალში მარცხის სიმწარე იწვნია ლვოვის „ცემენტნიკთან“ — 0:1).

ნახევარფინალური მატჩები 3 ოქტომბერს გაიმართება: ტიუმენის „გეოლოგი“ მიიღებს მოსკოვის „სტრელას“, ხოლო „ცემენტნიკი“ — კლაიპედის „ნევეჟისს“ (ლიტვა).

11 ოქტომბერს ჩერნოვცში (უკრაინა) შედგება „მილიონთა თასის“ ფინალური მატჩი.

## სხვა მატჩები

29 სექტემბერს ასე დამთავრდა: „ა“ კლასის I ჯგუფში: „სტროიტელი“ (აშხაბადი) — ასკ (ხაბაროვსკი) 2:1, „პამირი“ (დუშანბე) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 0:2, „ალგა“ (ფრუნზე) — „ყაირატი“ (ალმა-ათა) 0:1, „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „რუბინი“ (ყაზანი) 1:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 2:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:2, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 3:0. „ა“ კლასის II ჯგუფის II ზონაში: „დინამო“ (მახაჩყალა) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 1:1, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 0:1, „დინამო“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ვოლგა“ (კალინინი) 0:1, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ლოკომოტივი“ (კალუგა) 1:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „მეტალურგი“ (ტულა) 1:0, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 1:1, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 3:0, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „ვოლგა“ (გორკი) 1:0.

## გასწორება

„ლელოს“ წინა ნომერში მოთავსებულ მასალაში — „დაფიქრება გვმართებს“ — მეშვიდე აბზაცის პირველი ორი წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე: „აქვე სხვა ბევრი საყვედურიც უნდა ვთქვათ. ზედა საზანოს საშუალო სკოლის ეზოში წაქცევაზეა ტანვარჯიშული ბაქნის ინვენტარი“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) დღეიდან განახლდა ცურვაში ვაჟთა, ქალთა და ბავშთა სპეციალური ფასიანი საააბონემენტო გამაჯანსაღებელი ჯგუფების მეცადინეობა.

გრძელდება აბონემენტების გაყიდვა. მსურველებს შეუძლიათ ვარჯიშისთვის აირჩიონ ნებისმიერი დრო 7-დან 22 საათამდე.

აბონემენტის შესაძენად საჭიროა მოქალაქემ იცოდეს ცურვა და წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა პოლიკლინიკიდან.

აუზის ტელეფონები: 22-61-00, 22-77-59 და 22-55-40.



ზამთრის სეზონისთვის დახურული გასასვლელის მოწყობის შემდეგ „ლოკომოტივის“ საცურაო აუზი 5 ოქტომბრიდან განაახლებს მუშაობას.

აბონემენტების მფლობელნი და სხვადასხვა ასაკის პირნი, რომელთაც სურვილი აქვთ ჩაირიცხონ გამაჯანსაღებელ ან ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში, აუზზე უნდა გამოცხადდნენ 4 ოქტომბრამდე, 9-დან 18 საათამდე.

მისამართი: 800 არაგველის ქ. № 1. ტელეფონები: 74-58-81, 74-58-82.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 10581